პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა,
27 აპრილი,
1958 წელი
№ 50 (1220)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

ლომელი

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო



* * *

მიმდინარე წლის ივლისის დასაწყისში მოსკოვში გაიმართება მსოფლიო პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, რომლისთვისაც ინტენსიურად ემზადებიან მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეები. ემზადებიან საბჭოთა კავშირის სპორტსმენებიც, რომლებიც სულ ახლახან ღებულობდნენ მონაწილეობას სსრ კავშირის პირველობაზე. ჩემპიონატის პროგრამაში იყო ვარჯიშები ცალკეულ იარაღებზე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ ჩემპიონატში შესანიშნავი ოსტატობა აჩვენეს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებმა, რომელთა სახელები ჯერ კიდევ შარშან უცნობი იყო ფართო სპორტული საზოგადოებრიობისათვის. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან 16 წლის ი. პერვუშინა (ვორონეჟი), 18 წლის ლ. პეტუხოვა (მოსკოვი), ახალგაზრდა უკრაინელი სპორტსმენები ლ. სემუშკინა, მ. კონონეცი და სხვანი.

საინტერესოა განვლილი ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა. იგი მიმდინარეობდა მსოფლიო პირველობის პროგრამით. ოქროს მედლის მისაღებად ყოველ ტანმოვარჯიშეს უნდა მოეპოვებინა გამარჯვება სამ ტურში (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების შემდეგ უძლიერესი ექვსეული ფინალურ ტურში ყოველ იარაღზე მეორედ გამოდიოდა ნებისმიერი პროგრამით).

დიდი წარმატება ხვდათ წილად უკრაინელ სპორტსმენებს. მათ აჩვენეს შესანიშნავი ოსტატობა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გამოსვლებში.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალთა შორის, კიეველმა ლ. ლატინინამ ოქროს მედლები მიიღო თავისუფალ ვარჯიშში (29 ქულა), წონასწორობაში (28,5 ქულა) და გაიყო პირველი ადგილი სპორტის დამსახურებულ ოსტატ ს. მურატოვასთან (მოსკოვი) ერთად ბჯენით ხტომაში (28,9 ქულა თვითეულს).

ლატინინას თანაგუნდელი რ. ბორისოვა საუკეთესო იყო ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში — 28,85 ქულა.

ვაჟთა შორის ასეთივე ბრწყინვალე შედეგებით გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. შახლინი (კიევი). შახლინმა მოიგო პირველი ადგილები ღერძზე (28,5 ქულა), ორძელზე (29,3 ქულა) და ტაიგზე (28,85 ქულა).

კიეველმა ი. ტიტოვმა ოქროს მედალი მიიღო ბჯენით ხტომაში — 28,6 ქულა, ხოლო რგოლებზე ვარჯიშში ერთნაირი შედეგი — 28,6 ქულა აჩვენეს ა. აზარიანმა (ერევანი) და ა. სობოლევმა (მოსკოვი). თავისუფალ ვარჯიშში საუკეთესო იყო ლვოველი ტანმოვარჯიშე ბ. ტკაჩოვი — 28,25 ქულა.

სსრ კავშირის პირადი პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში ცალკეულ იარაღებზე. **სურათებზე:** (მარცხნიდან) — XVI ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი ლ. ლატინინა ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს. ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სსრ კავშირის 1957 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ს. მურატოვა დვირზე ვარჯიშის დროს. ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის ოსტატი პ. ასტახოვა ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა.

საზოგადოებრივი კადრები—ჩვენი დასაყრდენი

ერთ წლის წინათ ჩვენს გაზეთში მოვათავსეთ ორი წერილი საერთო სათაურით — „ღვაწლმოსილნი“. წერილები ეეხებოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. კიზირიასა და მ. ხერხეულიძის ღვაწლმოსილებაზე რესპუბლიკაში ფიზკულტურული მუშაობის დანერგვის საქმეში. ორივე ღვაწლმოსილი მუშაკი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დააჯილდოვა საზოგადოებრივი ინსტრუქტორის სამკერდე ნიშნით. ი. კიზირია და მ. ხერხეულიძე ხანდაზმულობის მიუხედავად ერთ წუთსაც არ წყვეტენ კავშირს ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან. ხერხეულიძე ხელმძღვანელობს ქართული ჭიდაობის სექციას, ხოლო კიზირია თავისი გამოცდილების გაზიარებით დიდად ეხმარება სოფლის ფიზკულტურელებს.

დიდი, მეტად დიდი ძალაა საზოგადოებრივი კადრები — ადამიანები, რომლებსაც თავდავიწყებამდე უყვართ საქმე და მზად არიან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დახმარების ხელი გაუწოდონ ორგანიზაციებს. საზოგადოებრივი კადრები ჩვენი დასაყრდენია, მასობრივი მუშაობის სული და გული. გადავხედოთ ჩვენი მუშაობის პრაქტიკას. რომელი კოლექტივია მოწინავეთა რიგებში? რასაკვირველია ის, რომელმაც დროულად იზრუნა საზოგადოებრივი კადრების — საკუთარი მწვრთნელების, მსაჯების აღზრდაზე — ასეთ კოლექტივს არ ჭირდება სახსრები მწვრთნელის ან მსაჯის მოწვევაზე. ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეუძლია ყველა სახის შეჯიბრება ჩაატაროს თავისთან ან შეეჯიბროს მეზობელ კოლექტივს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საკავშირო ალკ XIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა: „...მაგრამ შეეხებოთ საქმეს მეორე მხრიდან. განა არ შეუძლია ახალგაზრდობას თავისი ძალებით, თავისი ხელით წესრიგზე მოიყვანოს ბევრი კულტურული დაწესებულება, რომელიც ახლა უყურადღებოდ არის მიტოვებული? განა არ შეიძლება ამ დაწესებულებებში მოვაწყოთ შინაარსიანი, აღმზრდელობითი მუშაობა? რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგრამ არიან ახალგაზრდობაში კმაყოფაზე მყოფნი, რომლებსაც სურთ მზამზარეულად მიიღონ, როგორც ზეცის მანანა. თუ ხელფასიანი გამგე არ არის, კლუბიც დაკეტილია, თუ ხელფასიანი მწვრთნელი არ არის, თითქოს ფიზკულტურაში მეცადინეობაც არ შეიძლებოდეს“.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ამ სიტყვებში ხაზგასმულია საზოგადოებრივი კადრების დიდი მნიშვნელობა და მათი როლი მასობრივ მუშაობის აღმავლობაში.

საბჭოთა ახალგაზრდობა ბევრი ძვირფასი ინიციატივის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღმავლობისათვის გაწეული ღონისძიებანი. ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი სპორტული ბაზაა აშენებული ახალგაზრდობის ინიციატივით, საკუთარი რესურსებით, თანხების დაუხარჯავად. მიმდინარე წელს ჩვენ მრავალი მასალა გამოვაქვეყნეთ ძირეული კოლექტივების ინიციატივაზე, მათ შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებზე. თბილისის ცხიმკომბინატის, რუხის კოლმეურნეობის, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის, თბილისის საელმაღლო დეპოს აღებულ ვალდებულებებში სხვა პუნქტებთან ერთად აღნიშნულია ერთი მეტად საჭირო პუნქტი — საზოგადოებრივი კადრების მომზადება. ჩვენი აზრით, სოციალისტური შეჯიბრების ყველა მუხლიდან უმთავრესი ეს საკითხია, რადგან საზოგადოებრივი კადრების გარეშე ფუჭია ჩვენი მუშაობა, ზედმეტია ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე ლაპარაკი.

საზოგადოებრივი კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი აღმავლობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ახლა, როდესაც რესპუბლიკაში შემოღებულ იქნა შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემა, როცა მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ძირეულ კოლექტივებზე. ახალი სისტემა გულისხმობს შეჯიბრებათა წრიულად ჩატარებას, ე. ი. კოლექტივში თითქმის მთელი წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს შეჯიბრებები. ასეთ მდგომარეობაში თუ ჩვენ კოლექტივში არ გვეყოლა საკუთარი მსაჯები, მწვრთნელები, ორგანიზაციული მუშაკები და ყოველ შეჯიბრებაზე მათი მოწვევა დაგვჭირდა, მაშინ ეს მეტად დიდ თანხას მოითხოვს და საქმეც შეფერხდება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივების და საერთოდ რესპუბლიკის კოლექტივების საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მათი მუშაობის აღმავლობა დამოკიდებულია საზოგადოებრივ კადრებზე — აქტივზე. მაშასადამე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ამ საქმის უგულებელყოფა, პირიქით, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს, რომ საზოგადოებრივი კადრები არ შემოეფანტოს (როგორც ეს თბილისის პლასტმასის ქარხანაში მოხდა), რომ ყოველი საზოგადოებრივი მწვრთნელი, მსაჯი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს კოლექტივის ცხოვრებაში, რომ იზრუნოს, რათა ყოველ მეორეთანრიგოსან სპორტსმენს ჰქონდეს სამსაჯო კატეგორია და ა. შ.

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა იმიტომ მიიწევს წინ, რომ იგი დამყარებულია მასების პატრიოტიზმზე, ენთუზიაზმზე, მათ თვითმოქმედებაზე. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ეს და ვიბრძოლოთ მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.



ბ. ნიკიტინი

ბ. ნიკიტინი ამყარებს ახალ საკავშირო რეკორდს

◆

შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდას“ ჯილდოზე

◆

კიევი. უკრაინის დედაქალაქის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ცურვაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა უძლიერესი მოცურავეები.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის ყველაზე სათვის მოულოდნელად გამარჯვება მოიპოვა 16 წლის მოსკოველმა გოგონამ გ. ფილიპმა. მისი შედეგი 1.08,8 ახალი საკავშირო რეკორდია გოგონათათვის.

ახალი საკავშირო რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში დაამყარა სტალინგრადელმა სპორტსმენმა ქალმა გ. კამაევამ — 1.13,5. ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში ბაქოელმა ვ. ეფენკოვამ აჩვენა 2 წუთი 27,4 წამი, რაც აგრეთვე ახალი საკავშირო რეკორდია. ასევე აღემატება ძველ რეკორდს ესტონელი მოცურავე ქალის უ. ვოოგის შედეგი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 5.15.5.

საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი თავისუფალი სტილით 800 მეტრზე ცურვაში დაამყარა თბილისელმა მოცურავემ ბ. ნიკიტინმა. რეკორდსმენის შედეგია 9 წუთი 32,8 წამი. მანვე მოიგო ცურვა 400 მეტრზე — 4.36,0.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს დინამოელებმა.

75-ე

რესპუბლიკის „უხუცესი“ საწარმოს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ორმაგ სიხარულს შეუპყრია. წელს პირველ მაისთან ერთად იგი იზეიმებს თავის 75 წლისთავსაც. ქარხნის საფუძვლის ჩაყრა, მისი პირველი ამოსუნთქვა ხომ სწორედ 1883 წლის პირველ მაისს მოხდა. რამდენი რამის მოქმეელია ამ ქარხნის ისტორია, რარიგ მდიდარია მისი ტრადიციები. აქ შრომა სიმამაცის და გმირობის საქმეა, მუდამ მოჩუხჩუხე წყაროა. ქარხანა ინტერნაციონალური აღზრდის დიდი სკოლაა, რომლის კედლებში 22 ეროვნების წარმომადგენელი ერთნაირი აზრითა და სულისკვეთებით გამსჭვალულნი საერთო გამარჯვებას სჭედენ.

სიხარულისა და ენთუზიაზმის ატმოსფეროა გამეფებული ამ უძველეს, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა ქარხანაში ორი დიადი თარიღის ღირსეულად შესახვედრად, ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. აპრილის პირველი რიცხვებიდან დაიწყო სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის ერთთვიური, სოსტაფო სოსტატოს ეჯიბრება უბანი—უბანს, საამქრო—საამქროს. ჯერჯერობით წინ არიან მანქანა-საიარაღო საამქროს წარმომადგენლები.

12 აპრილი სპარტაკიადის დაწყების დღედ გამოცხადდა. ყოველდღიურად ქარხნის რადიოკვანძი კოლექტივს აცნობდა სპარტაკიადის გახსნის ამბავს, დიქტორი ანატოლ ტაშიანი ახალი სპორტული მიღწევების მოპოვებისაკენ მოუწოდებდა ფიზკულტურელებს, უამბობდა ქარხნისა და რესპუბლიკის ფიზკულტურელთა ცხოვრების შესახებ.

საყვირმა სამუშაოს დამთავრება აუწყა კოლექტივს... საზეიმო სახე მიეცა სპორტულ მოედნებს. გაისმა სასულე ორკესტრის ხმა, მოედანზე შემოვიდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები — შრომასა და სპორტში ნაწრთობი ადამიანები. კოლონას წინ მიუძღოდნენ ფეხბურთელები კონსტანტინე აბაზაძე — თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი, დიზელისტი ვლადიმერ ჯაფარიძე და ახალგაზრდა ინჟინერი ჯუმბერ შარაშიძე. ქარხნის კომიტეტის მდივნის ელგუჯა სახვაძის წიტყვის შემდეგ სპარტაკიადის ალამი ალმართეს ჯ. შარაშიძემ და ვ. ჯაფარიძემ. სპარტაკიადა დაიწყო.

ფეხბურთის მოედნის ცენტრში გასულმა ც. ცინცაძემ სასტვენით მოუხმო ორთქლმავალ-ამწყობი საამქროსა და ენერგოძალურ დანადგართა საამქროს ფეხბურთელებს. ამწყობთა შეხმატკბილებული, აზრიანი და კომბინაციური თამაში მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს.

ეს საინტერესო შეხვედრა მეამწყობეთა გამარჯვებით დამთავრდა — 9:3. მოედანზე გამოდიან ქარხნის ბაზაზე არსებული რკინიგზის № 2 სახელოსნო სასწავლებლისა და მოტორ-ვაგონსექციის შემკეთებელი საამქროს ფეხბურთელები. შეხვედრა მოიგეს მოსწავლეებმა—7:5.

სპარტაკიადის პირველი დღე სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებებით დაიწყო. საამქროთა ფრენბურთელები, მსროლელები, ჩოგბურთელები, მუჭადრაკეები ერთმანეთს ეცილებიან პირველობას.

მრავალი მოწინავე სპორტსმენი იზრდება ამ საწარმოში. კალათბურთელები — ვ. კლიმიაშვილი, ც. ხევსურიანი, ფრენბურთელები — ა. არჯევანიძე, ლ. სტაროდუბცევა, მუჭადრაკეები — ო. ადამაშვილი, ვ. პეტროსიანი, მ. შლაპაკი, მოტიდავე—მ. გურასპაშვილი, ძალოსანი — ნ. მურადოვი, მსროლელი — ფ. ალავერდოვი და მრავალი სხვანი სანმეუშოდ ათავსებენ შრომასა და სპორტს.

ქარხნის სპორტსმენები სამართლიანად ამაყობენ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გაშენებული საკუთარი სპორტული ბაზით, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

სახელოვანი ქარხნის კოლექტივი, თავისი არსებობის 75-ე წლისთავს ახალ-ახალი გამარჯვებით ხვდება ახალ სამეურნეო წელს. კოლექტივის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანებია დასახული. წინა წელთან შედარებით შეცირდეს გამოშვებული — [illegible] თვითღირებულება 16 პროცენტით, აღაღლდეს შრომის ნაყოფიერება 13 პროცენტით, მიეცეს სახელმწიფოს გაცილებით მეტი ჯანსაღად შეკეთებული ორთქლმავლები და ვაგონები, გამოშვებულ იქნას ახალი სახის პროდუქცია მოტორ-ვაგონ-სექციები, ელმავლების გოგორწყვილები და სხვ.

ეს-ეს გარეშეა ქარხნის კოლექტივი მის საამაყო ახალგაზრდებთან და სპორტსმენებთან ჩვეული ენერგიით განახორციელებს ამ საპატიო ამოცანას.

გ. ხარატი

ეს ხდება კომეზეკის თავმჯდომარის მონაწილეობით

მრავალჯერ დაიწერა და ოფიციალურ შეკრებებზე ითქვა იმ უპასუხისმგებლობათა შესახებ, რასაც ფიზკულტურის ზოგიერთი მესვეური იჩენს შეჯიბრებებზე მონაწილეთა უსწორო, ხან კი ყალბი საბუთების გამოგზავნით. ჭიდაობაში ასეთი საქცელი იწვევს უთანასწორო შეხვედრებს, რაც ხშირად მარცხს, ზოგჯერ უბედური შემთხვევის წინაშე გვაყენებს. ამ მიმართებით შეურიგებელ ბრძოლას გვაწევს ჩვენი მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვა და მისი ფაქიზი სულიერი აღზრდა.

სამწუხაროდ, ეს საკითხი ზოგს, კერძოდ კი, თიანეთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს დავით ჭურჭელაურს, არა აქვს მთელი სიგრძე-სიგანით შეგნებული. ამას წინათ დ. ჭურჭელაურმა ქუთაისში, სადაც ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა ტარდებოდა, თავისი მოჭიდავენი თიანეთის კომკავშირის რაიკომის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით ვადაზე ერთი დღით ადრეც კი გამოგზავნა. მაგრამ იმაზე კი არ იზრუნა, რომ განაცხადში წარმოდგენილი ყოფილიყო მონაწილეთა საექიმო შემოწმებაზე ფიზკულტურის კომიტეტის დასტური. ამასთან მეტრიკული ამონაწერების გარდა, თიანეთის გუნდის არც ერთ მონაწილეს არ ჰქონდა პირადობის მოწმობა. ჩვენ ვთხოვეთ წარმოედგინათ ან მოსწავლეთა ცნობები, ან საკლასიფიკაციო ბილეთები, ან პიროვნების სხვა რაღაც დამადასტურებელი ცნობა, მაგრამ ასეთი საბუთები მათ არ აღმოაჩნდათ. მხოლოდ ერთს (ჯ. ქართველიშვილს) ჰქონდა მათ შორის კომკავშირული ბილეთი. მიუხედავად იმისა, რომ იმავე საღამოს დ. ჭურჭელაურიც ჩამოვიდა, საჭირო საბუთები არც მას ჩამოუტანია. სამაგიეროდ, უხვი დაპირებებით აგვავსო, საბუთები ყოველ მიზეზს გარეშე ხვალ ჩამოვაო.

მეორე დღეს ჭურჭელაურმა მართლაც წარმოადგინა „საბუთები“. იგივე მეტრიკული ამონაწერები, ქუთაისის დისპანსერში შემოწმებული განაცხადი და სპორტსმენთა არა რვა, არამედ ექვსი საკლასიფიკაციო ბილეთი. განაცხადს კვლავ არ ჰქონდა ფიზკულტურის კომიტეტის ბეჭედი და არ ახლდა ექიმის სპეციალური ნებართვა ორი უწლოვანის შეჯიბრებაზე დაშვების შესახებ.

ამ ხარვეზების შევსება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საკლასიფიკაციო ბილეთები?

ერთ მათგანს პირველი (ძირითადი) ფურცელი არ ჰქონდა. მეორეში ჩაკერულმა სურათმა დაგვაეჭვა — იგი სრულწლოვანი ჩანდა. ამას დაემატა ისიც, რომ სპორტსმენი „თავისი“ ბილეთით რეგისტრირებული იყო თიანეთის რაიონის სოფ. სიონის ფიზკულტურულ კოლექტივში, ასეთი სოფლის ფიზკულტურული კოლექტივი კი არსად გაგვიგონია. ყველა ხელისმოწერა ერთნაირი იყო. არც ერთ ბილეთში არ იყო თანრიგის მინიჭების ბრძანების ნომერი და თარიღი. ორი მოჭიდავე (მამულაშვილი და მგელიაშვილი) სოფ. ტუშურების საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის წევრადაა წარმოდგენილი, მაგრამ მათი კოლექტივის თავმჯდომარეც ხელისმოწერის მიხედვით ორი კაცია წარმოდგენილი — ადუაშვილი და ქუშურაული. საიდან გაუჩნდა ერთ კოლექტივს ორი თავმჯდომარე?

ბილეთების საკლასიფიკაციო შეღებების გვერდზე სამ მოჭიდავეს აღნიშნული აქვს, რომ 5-6 მარტის შეჯიბრებაზე მათ დაამარცხეს შვიდ-შვიდი მეტოქე, ხოლო მეორე სამეულს იმავე შეჯიბრებაზე ექვსექვსი მოწინააღმდეგე „დაუმარცხებია“ ორ დღეში, მეტადრე ჭაბუკთათვის, ამდენი შეხვედრა და თანაც სულ გამარჯვებები, მეტი რომ არ ვთქვათ, წარმოუდგენელია.

ყველა ამ შენიშვნის შემდეგ გაირკვა, რომ ეს საკლასიფიკაციო ბილეთები თიანეთიდან კი არ ჩამოუტანეს დ. ჭურჭელაურს, არამედ ისინი „უსესხია“ ქუთაისში (?). ბილეთები იქვე შეივსო და გაკეთდა ექვსი ყალბი ხელისმოწერა...

ცხადია, ასეთ პირობებში გუნდი არ დავუშვით და მათი თხოვნა-მუქარის მიუხედავად, არც ყალბი ბილეთები დავუბრუნეთ უკან.

ამ ამბავმა ჭაბუკებზე დიახაც ცუდი გავლენა იქონია, ისინი უკმაყოფილონი დაბრუნდნენ, მაგრამ მათ გულისწყრომა უნდა წარმართონ თავიანთი ხელმძღვანელებისაკენ, რომლებიც ასე უპასუხისმგებლოდ მოეკცნენ აღსაზრდელებს. ჩვენ კი, შეჯიბრების ჩამტარებელთ, ცხადია, გვერჩივნა ასეთი ხელმძღვანელების „რისხვა“, ვიდრე ბავშვები რაიმე მარცხში ჩაგვეგდო.

მ. ხერხეულიძე

რატომ დაიშალა ცხენოსანთა გუნდი, რატომ არ შეასრულეს აღებული ვალდებულებები

რედაქციაში ამას წინათ რამდენიმე წერილი შემოვიდა ზესტაფონიდან. სპორტის მოყვარულები გვატყობინებდნენ, რომ სპორტული ცხენები სხვა დანიშნულებითაა გამოყენებული, რომ ზესტაფონელები მომავალ შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ცხენების დაცემის გამო და სხვ. სიგნალებს შემოწმება უნდა. ამიტომ ვეწვიეთ ზესტაფონს და ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ:

აქ საცხენოსნო სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაიონის მხედრები უწინ წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩაბარდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ თავი ვერ გაართვა ამ საქმეს. ახლა ზესტაფონში ცხენოსანთა გუნდი არ არსებობს.

თავის დროზე სპორტული ცხენები შესანახად და მოსავლელად განაწილებულ იქნა კოლმეურნეობებზე. ეს კარგი ღონისძიება ადგილზე ცუდად გაიგეს. სპორტულ ცხენს საგანგებო მოვლა-პატრონობა, წვრთნა ჭირდება და არა ქოროწილებსა და მოყვრებში სეირნობა... ქვედა საქარის მერკილადის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ჭიჭინაძემ სპორტული ცხენის მომვლელ კ. გოგიშვილს ამას წინათ გამოუგზავნა ბრძანება, რათა მას ეთხოვებინა ცხენი მისი ადგილობრივისათვის მოყვრებში წასასვლელად. ასეთი ფაქტი აქ მრავალია. ზესტაფონის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ოთახში გამოკრულია ცხენოსანთა მეცადინეობის განრიგი, მაგრამ იგი არ სრულდება და ეს მაშინ, როცა ქარხება ძომდგარი რაონული და რესპუბლიკური პირველობები.

ამას წინათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა გამოიჩინეს ინიციატივა და დაეხმარნენ „კოლმეურნეს“ საწვრთნელი მინდვრის მომზადებაში. მინდორი ასე თუ ისე მომზადდა, მაგრამ ვისთვის, როცა გუნდი არ არსებობს? კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს გ. მაჩიტიძეს (ზესტაფონის კოლმეურნეობა), შ. საყვარელიძეს (ლენინის სახ. კოლმეურნეობა), ნ. ჭიჭინაძესა და სხვებს პრინციპულად არ გამოყავთ ცხენები. ზოგი იმიზეზებს ცხენის მოუმზადებლობას, ზოგი მანძილს სიშორეს, ზოგიც ცხენის სიბერეს. ფაქტი ერთია: ზემოაღნიშნულმა ამხანაგებმა სპორტული ცხენები გაიფუჭეს და ახლა ობიექტურ მიზეზებს ეფარებიან. ძხოლოდ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის და ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა შემოთვალეს მზადყოფნა. ჰ. ბაბუაძესა და ვ. საყვარელიძეს მათზე მიმაგრებული ცხენები სინდისიერად მოუმზადებიათ შეჯიბრებისათვის.

აი რა განაცხადა ზესტაფონის ცხენოსნობის სექციის თავმჯდომარემ ბ. ღოღობერიძემ:

— საჭიროა უახლოეს დღეებში ყველა ცხენი, რომლებიც კი ვარგისია, ჩამოყვანილ იქნას ზესტაფონში და მოთავსდეს ერთ თავლაში, როგორც ეს მოხდა 1955 წელს ანაშაში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობის წინ. ამასთან, თვითეული კოლმეურნეობა ვალდებულია გამოგზავნოს ცხენის საკვები, ხოლო „კოლმეურნის“ რაისაბჭომ უნდა უზრუნველყოს მოვლელები.

ღოღობერიძე მართალს ამბობს. მაგრამ ამ სიმართლეს ცხოვრებაში განხორციელება უნდა. მარტო ლაპარაკით საქმე არ გაკეთდება. ამას გარდა, პასუხი უნდა მოვთხოვოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, რომლებმაც სპორტული ცხენები სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენეს და ამის მიზეზით რაიონი ცხენოსანთა რესპუბლიკურ პირველობაზე ალბათ მონაწილეობას ვერ მიიღებს.

* * *

რადგან ზესტაფონში ვიმყოფებოდით, გადავწყვიტეთ გვენახა სოფელი ცხრაწყაროს, სადაც მხურვალედ დაუჭერეს მხარი ჩუქლაყელთა მოწოდებას მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. ცხრაწყაროელებმა მზარდი ვალდებულებებიც იკისრეს. ეს ამბავი მაშინ ფართოდ გახმიანდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ვნახოთ რა გაკეთდა ცხრაწყაროში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

— არაფერი არ გაგვიკეთებია, — მოკლედ გვითხრა ძირეული ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარემ პ. შალამბერიძემ, რომელიც ვალდებულებათა ტექსტს ხელს აწერდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. თურმანიძესა და კომკავშირის კომიტეტის მდივან ბ. ჭიღლაშვილთან ერთად.

ასეთი მოულოდნელი, ცივი პასუხის შემდეგ მან დაიწყო თავის მართლება — არ გვქონდა მოედანი, ვერ ვიშოვეთ სათანადო სპორტინვენტარი გადარიცხვით. ერთი ბულდოზერი გვიშველიდა, მაგრამ მას ეურ ვეღირსეთ. ვინ დაიჯერებს, რომ ცხრაწყაროელი ახალგაზრდები წლის მანძილზე ვერ შეძლებდნენ მოედნის მოსწორებას უბულდოზეროდ. გამოდის, რომ ბულდოზერი წელს ან გაისადაც რომ არ ავიდეს ცხრაწყაროში, სპორტული მუშაობა ჩამკვდარი იქნება. ესეც ადვილი მოსალოდნელია. აი სწორედ აქაა „კოლმეურნის“ ხელმძღვანელების მუშაობის სუსტი უბანი. ისინი არც დაინტერესებულან გაერკვიათ, თუ რატომ ჩამორჩება მოწინავე, მილიონერი კოლმეურნეობა სპორტულ საქმიანობაში, როგორ ასრულებს იგი ნაკისრ ვალდებულებებს.

რაც შეეხება სპორტინვენტარს, ჩვენ ვესაუბრეთ ზესტაფონის კულტმაღაზიის მუშაკებს, რომლებმაც გვითხრეს, რომ ცხრაწყაროელებს არასოდეს არ მიუციათ შეკვეთა სპორტინვენტარის შესაძენად.

აქვე უნდა დავუძახოთ, რომ ცხრაწყაროელებმა ვერ გაიგეს შეჯიბრებაში ჩაბმის მიზანი. აი ეს საიდან ჩანს: ზესტაფონის „კოლმეურნის“ რაისაბჭოში ინახება განცხადება ცხრაწყაროს კლუბის გამგის შ. ცერცვაძისა და ბ. ჭიღლაშვილის ხელმოწერით, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი დამატებით იღებენ ვალდებულებას კლუბთან ჩამოაყალიბონ დრამატული (!) წრე. რა შუაშია ფიზკულტურელთა შორის გაშლილ შეჯიბრება და დრამატული წრე?

თ. კაკიტაძე

შეხანიშნავი ამინდები დგას შავი ზღვის სანაპიროებზე. მას უქმად არ კარგავენ ადგილობრივი სპორტსმენები — ხმელეთი თუ ზღვა მათი გულმოდგინე მეცადინეობის სარბიელს წარმოადგენს. სურათზე თქვენ ხედავთ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ველოსრბოლებს, რომლებიც საზაფხულო წვრთნაზე გამოსულან ზღვის ნაპირას. მათ წინ სერიოზული ასპარეზობაა — სტუდენტთა თამაშები. მეორე სურათზე აღბეჭდილია ნორჩ ნიჩბოსანთა წვრთნის მომენტი. მათაც ელით „მძიმე“ ბრძოლები და მათში ღირსეულად გამოსვლისათვის ემზადებიან ახე გულდაგულ.

კოტო მ. ზარგარიანისა.

ამერიკელ კალათბურთელთა პირველი მატჩები

25 აპრილს, მოსკოვში, სპორტის სასახლეში გაიმართა ამერიკელ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ამხანაგური მატჩი. პირველად მოედანზე გამოვიდნენ ქალთა გუნდები.

ორივე გუნდმა აჩვენა თამაშის მეტად მაღალი კლასი. განსაკუთრებით ზუსტად ესროდნენ სპორტსმენები კალათში. შეხვედრის პირველი ნახევარი თანაბარი ბრძოლით დამთავრდა. ტაიმი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 29:25. მეორე ნახევარში უპირატესობა მთლიანად საბჭოთა გუნდის მხარეს გადადგა, სადაც სროლების სიზუსტით გამოირჩეოდნენ ერიომინა, ოტსა და ბაქანიძელიანოვა. ამერიკელთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს უოგმა და ვაშინგტონმა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო შეხვედრა ანგარიშით 61:46.

მოსკოველ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა გუნდების მატჩმა. ამერიკელი კალათბურთელები ინდუსტრიული ლიგის ნაკრების წევრები არიან. ისინი გამოირჩევიან მაღალი ტანით, კარგი ტექნიკური მომზადებით და კალათში ზუსტი სროლებით. საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ ამერიკელები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: ბორნი (№ 3), დინ კელი (№ 11), პალმერი (№ 8), ვოლფი (№ 7) და გრიტენდენი (№ 13). ჩვენს გუნდში თამაშობდნენ ბოჩკარიოვი, ზუბკოვი, ტორბანი, ვალდმანისი, სემიონოვი.

შეხვედრის პირველ წუთებზე ანგარიში საბჭოთა კალათბურთელებმა წაიყვანეს, მაგრამ თამაში მალე გათანაბრდა. საბჭოთა გუნდში აქტიურად თამაშობს სემიონოვი. იგი ოსტატურად ტყორცნის ბურთებს საშუალო დისტანციიდან. გააზრებულად თამაშობდა ვალდმანისი, რომელიც ჩვენი ნაკრების ყველა შეტევების ორგანიზატორი იყო. ნაყოფიერად მუშაობდა ფარკვეშ ზუბკოვიც. თამაშის პირველ ნახევარში იგრძნობოდა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა, რომლებმაც მოიგეს ტაიმი — 40:31.

მეორე ნახევარში ჩვენს გუნდს ბრძოლისუნარიანობა დაუკარგა სემიონოვის გასვლამ ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო (სემიონოვმა მოედანი დატოვა პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთებზე, მოუტანა რა თავის გუნდს 14 ქულა). ამერიკელებმა შეცვალეს თამაშის ტაქტიკა. მათ ჩვენი სპორტსმენები „აიყვანეს“ მთელ მოედანზე და შეძლეს გარდატეხის შეტანა. ეს პირველ რიგში ანგარიშს დაეტყო. მეორე ნახევრის დასაწყისშივე ანგარიში გახდა 43:41. შემდეგ თანდათანობით წინ გადიან სტუმრები. სულ მალე მოედანს ტოვებს ტორბანი და მის ნაცვლად შემოდის მინაშვილი. მინაშვილი კარგად ებმება ჩვენი გუნდის თამაშის საერთო ანსამბლში, მაგრამ მას ცვლის ალაჩაჩიანი. როგორც გამოირკვა შეცვლამ არ გაამართლა. ალაჩაჩიანმა 3-ჯერ დაკარგა ბურთი. მას დრიბლინგში ორი ხელით წაართვა ბურთი ბორნმა. მოედანზე კვლავ შემოდის მინაშვილი. ეფექტიურად თამაშობს ამერიკელთა შორის პალმერი, მაგრამ მას რატომღაც დიდი ხნით არ აყენებენ მოედანზე. ცენტრალური თავდამსხმელი (№ 4) ჰილდორსონი, რომელიც წინად ამერიკის ნაკრებში თამაშობდა, შესამჩნევად ჩამორჩება დანარჩენებს ოსტატობაში. შეხვედრას იგებენ ამერიკელები — 74:68.

საერთო შთაბეჭდილება სტუმრების თამაშისაგან ასეთია. ტექნიკურ და ძლიერ გუნდს გადამწყვეტ მომენტში მობილიზების დიდი საშუალება გააჩნია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის ნაკრებს შეეძლო ამ თამაშის მოგება უფრო დაკვირვებულად რომ ეთამაშა სემიონოვს და არ მიეღო უმნიშვნელო ჯარიმები.

ნ. ჯორჯიკია,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები ვნუკოვოს აეროდრომზე. მოსკოვში.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა.

პირველი ნაბიჯი

მიუხედავად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და მდიდარი ტურისტული შესაძლებლობისა, საქართველოში სპორტის ამ სახეობის მასობრივად განვითარების საქმე ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ცალკეული ჯგუფებისა და ორგანიზაციების მაღალი სპორტული მიღწევები მაინც ვერ უზრუნველყოფდნენ მასობრიობას. პირველ რიგში იდგა და დგას ამ მიმართებით რაიონებთან კავშირის დამყარების საკითხი.

სწორედ ამ საქმის მოგვარებას ემსახურებოდა ტურისტული კადრების ხელმძღვანელთა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა 1-ლი რესპუბლიკური სემინარი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოაწყო მცხეთაში, მიმდინარე წლის 6 აპრილიდან 20 აპრილამდე. მის ძირითად მიზანს შეადგენდა რესპუბლიკის რაიონებში ისეთი ტურისტული ბირთვების შექმნა-ორგანიზება, რომლებიც ადგილებზე უხელმძღვანელებდნენ ამ სახეობის მასობრივად განვითარების საქმეს.

შეკრების ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს მონაწილეთა სიმცირე (30 კაცი), თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი იყო საქართველოს ბევრი რაიონი: მესტია, ჭიათურა, სტალინირი, ლენტეხი, ფასანაური და სხვ.

სემინარის სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა 30 თეორიულსა და 50 პრაქტიკულ სამეცადინო საათს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცადინეობებს ტოპოგრაფიაში, ტურიზმის ტექნიკასა [illegible] ლექტორთა ჯგუფ[illegible] ბული იყო [illegible] კადრებით, რომელთა შორის იყვნენ სპორტის ოსტატები დ. ფურცელაძე, კ. ასტახიშვილი, მ. უთმელიძე, თ. ხომერიკი, დ. გელაძე, ნ. ტაბიძე და სხვები.

სემინარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამდღიან საწვრთნელ მეთოდურ ლაშქრობას შემდეგი მარშრუტით: მცხეთა-შიო მღვიმე-სხალტბა-წეროვანი-სკურამო-ზედაზენი-ჯვარი-არმაზი-მცხეთა. ლაშქრობა ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა (თოვლი, წვიმა, ქარი), მაგრამ ამან კიდევ უფრო საინტერესო გახადა მისი შინაარსი. ლაშქრობის მონაწილეებმა გამოავლინეს კარგი ფიზიკური და მორალური მონაცემები.

ლაშქრობის გარდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელიც მოიცავდა საჩვენებელ შეჯიბრებას ტურისტულ ორჭიდში: შეჯიბრებას დახურულ მარშრუტსა და ტურისტულ ესტაფეტაში.

სემინარის ხარისხიანად ჩატარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სასწავლო ნაწილის უფროსს გ. მელიას, ინსტრუქტორებს ვ. შიოშვილს, თ. ტატიშვილს, ექიმ ს. ხაბურზანიასა და მთელ მომსახურე პერსონალს.

ე. კავკასიძე,
სემინარის უფროსი, სპორტის ოსტატი.

სამი რესპუბლიკური რეკორდი

„დინამოს“ სტადიონზე სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის მოსწავლეთა პირადი პირველობა, რის შედეგადაც უნდა დაკომპლექტებულიყო მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მიიღებდა მონაწილეობას.

შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა სამი რესპუბლიკური რეკორდი ჭაბუკთათვის. 41-ე სკოლის მოსწავლემ ი. დიაჩკოვმა 200 მეტრი თარჯვებით გაირბინა 25,7 წმ., ლ. დარახველიძემ (28-ე სკოლა) სამხტომში აჩვენა 14,65 მ., ხოლო 52-ე სკოლელმა ლ. ვოლოშინამ ხუთჭიდის ჯამში დააგროვა 3570 ქულა. გარდა ზემოჩამოთვლილი რეკორდებისა, ნაჩვენები იქნა ბევრი რიგი მაღალი შედეგებიც. ასე მაგალითად. ლ. პშენიჩნაიამ 100 მეტრი გაირბინა 12,8 წამში. ვაჟთა შორის ამავე მანძილზე უძლიერესი იყო ა. ბედუკაძე (11,7). მანვე 200 მეტრი დაფარა 22.6 წამში. შეჯიბრებაზე ერთადერთი პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა ლ. ივლევამ, რომელიც გადახტა 5 მეტრსა და 66 სმ. კარგი იყო მ. დიაჩკოვას მიერ ნაჩვენები შედეგები ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში (12,30 და 35,68 მ.). შედარებით ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენლებს. ასევე წარუმატებელი იყო ჭაბუკთა ხტომები სიმაღლეზე. სამაგიეროდ ამ სახეობაში გოგონებიდან ნ. მაისაშვილმა დაძლია 140 სმ და გაასწრო თანატოლ ბიჭებს.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების პირველ და უკანასკნელ დღეს წვიმდა, რამაც ერთგვარად იმოქმედა მაღალი შედეგების ჩვენებაზე. ასე მაგალითად, ვ. ელენინმა, რომელიც ამას წინათ ბათუმში გამართულ შეჯიბრებაში 6,43 სმ-ზე გადახტა, ამჯერად მხოლოდ 5,93 სმ დაძლია. ასევე, ა. ნეცეევსკიმ, რომელმაც ბათუმში ურო ტყორცნა 50,47 მ-ზე და რესპუბლიკური რეკორდი დააყენა ჭაბუკთათვის, ამ შეჯიბრებაზე მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა ე. მეეენკოვის შემდეგ, რომლის შედეგიც თავის მხრივ არ აღემატება 44,60 მეტრს.

გ. სამსონაძე

„ბურევესტნიკი“ აგროვებს ქულებს



თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 25 აპრილი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი) — 3:1 (1:1).

„ბურევესტნიკი“: რუხაძე; გაგუა, კუპავა, ვატანი; მუმლაძე, სიჭინავა; იაშვილი, ურთკმელიძე, თათარაშვილი (ჩიჩუა), ზეინკლიშვილი, ბეხმეტიევი.

„ლოკომოტივი“: ლოფუტინი; ბერეცკი, ბიკოვი, კრასნოვი; ტიმოხინი, ვოლოშინი; ზინჩენკო, სუპრუნოვი (მეკეშინი), კალინინი, სოკოლოვი, პოლშჩიკოვი.

მსაჯი მ. ედიგარიანი (ერევანი).

მატჩის დასაწყისი მარცხიანი გამოდგა თბილისელთათვის. მსაჯმა 3-ე წუთზე თავისუფალი დარტყმა დანიშნა მათ კარში. ტიმოხინმა ნელა გაუგორა ბურთი ახლოს მდგარ კალინინს და სანამ 9 მეტრით დაშორებული მცველები მოასწრებდნენ მისვლას, კალინინმა დაბალი დარტყმით გახსნა ანგარიში. — 1:0.

დიდი ხნის ენერგიული, დაბეჯითებული ეერიშების შემდეგ „ბურევესტნიკმა“ გაიტანა საპასუხო გოლი, რომელიც ძლიერ წააგავდა პირველს: საჯარიმო დარტყმიდან გათამაშებული ბურთი ბეხმეტიევმა ზუსტად გაგზავნა დაბალ კუთხეში — 1:1.

ტაიმის დასასრულამდე მასპინძლებს კიდევ არა ერთხელ ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ თავდამსხმელები ვერ პოულობდნენ შესაფერის პოზიციას შეტევის დასამთავრებლად და კარში თავისუფლად დარტყმისათვის. ზედა ძელს მოხვდა ურთკმელიძის ძლიერი დარტყმა.

გოლის გატანის ასეთივე რეალური შესაძლებლობა იყო მეორე ტაიმის დაწყებისას, მაგრამ ჩიჩუას მიერ დარტყმული ბურთი მეკარის ხელიდან მოხვდა ძელს და ზევიდან გადასცდა მას.

რამდენიმე სახიფათო შეტევა ჰქონდათ რკინიგზელებსაც, რომელთა შორის გამოირჩეოდა ცენტრალური თავდამსხმელი კალინინი, მაგრამ მცველთან ერთ-ერთი შეტაკებისას მან დაიზიანა ფეხი და იძულებული იყო დაეტოვებინა მინდორი. ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად მასპინძელთა მხარეს გადავიდა, რომლებიც სწრაფად და ენერგიულად ავიწროებდნენ მოწინააღმდეგის დაცვას.

37-ე წუთზე ზეინკლიშვილი გავიდა მარცხნივ და ჩააწოდა კარის გასწვრივ მეკარე ვერ მიწვდა ბურთს და ჩიჩუამ ზუსტად გაგზავნა იგი კარში — 2:1. ცოტა ხნის შემდეგ ზეინკლიშვილი კვლავ გაიჭრა საჯარიმო მოედანზე და რამდენიმე მცველთან ბრძოლაში გაიტანა მესამე ბურთი.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა მოიგო მორიგი მატჩი ანგარიშით 3:1. ახლა გუნდს აქვს 5 ქულა 6 შესაძლებელიდან.

ბ. ქორიძე

• • •

სტალინგრადი. 24 აპრილი (ტელეგრაფით). დღეს აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ბ“ კლასის IV ზონის გუნდები „მეტალურგი“ (სტალინგრადი) და სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის გუნდი (თბილისი).

თამაში მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:0.

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი სტუმრების კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“	7	3	4	0	10:4	10
„სპარტაკი“	6	3	3	0	14:6	9
„დინამო“ ქ.	7	2	5	0	15:9	9
„ტორპედო“	6	2	4	0	14:7	8
ცსკ მო	6	3	1	2	11:6	7
„დინამო“ მ.	7	3	1	3	12:8	7
„შახტიორი“	7	2	2	3	4:7	6
„ზენიტი“	5	1	3	1	3:3	5
„კრ. სოვეტოვი“	6	1	3	2	5:7	5
„დინამო“ თბ.	6	2	1	3	7:18	5
„მოლდოვა“	6	0	3	3	5:13	3
„ადმირალტეეცი“	5	0	0	5	5:17	0

• • •

⊙ **კუიბიშევი. 25 აპრილი.** აქ შედგა მიმდინარე საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „კილია სოვეტოვი“ და ცსკ მო.

მატჩი მოიგო „კრ. სოვეტოვმა“ — 1:0.

⊙ **მოსკოვი. 26 აპრილი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ლოკომოტივი“.

თამაში დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 3:1.

⊙ **კიევი. 26 აპრილი.** ადგილობრივმა „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო კიშინიოვის „მოლდოვა“.

შეხვედრის ანგარიშია 2:2.

• • •

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს 26 აპრილს შეხვედრა ჰქონდათ სტალინოში ადგილობრივ „შახტიორთან“.

მატჩის შედეგია 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.



სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის ნაამბობიდან

ოკეანის-მაღლა



მაშ ასე! საფუძვლიანი, დაბეჯითებული მოსამზადებელი წვრთნის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრები ჯუნდი თავისუფალ ჰიდაობაში ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ ღებს გეზს. ჩვენ გვეკისრება პირველი მერცხლის როლი, რომელმაც მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის დამოკიდებულებაში სასურველი გაზაფხულის მოახლოება უნდა აუწყოს ხალხებს კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ა წ. 27 იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ვინ დაიკავებს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსებას ამ საპატიო, საპასუხისმგებლო და კეთილი ნების აღმსრულებელი მისიის დროს?

საბრძოლო შემადგენლობაში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი საქართველო — რვა წონითი კატეგორიიდან რესპუბლიკის ხუთი მოჭიდავე! ესენი არიან: მ. ცალქალამანიძე, ვ. არსენიანი, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე და ო. კანდელაკი. დანარჩენნი: ლ. სალიმულინი, ვ. სინიავსკი და ბ. კულაევი. დელეგაციას ხელმძღვანელობს მ. პესლიაკი, მწვრთნელია — ვ. კრუტკოვსკი, თან გვახლავს აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კარაპეტიანი.

როგორია ჩვენი განწყობილება და საბრძოლო მზადყოფნა სანამ ჰაერის გიგანტზე — „ტუ-104“-ზე შევდგამდეთ ფეხს? საკმაოდ მაღალი და საკმაოდ ნაცნობი — ისეთივე, როგორიც არაერთგზის „გვსტუმრებია“, როცა კი მშობლიურ მიწას ვეთხოვებოდით და მისი სპორტული დიდების დაცვის მაღალი მოვალეობა მიგვყვებოდა თან. თუმცა, ამჯერადაც არ ვართ თავისუფალი ზოგიერთი მოულოდნელი გარემოებისაგან: მე საწვრთნელ შეკრებაზე ფეხი ვიტკინე და იგი საკმაოდ მაწუხებს. ვალოდია არსენიანი რაღაც საეჭვოდ მობუზული, უქეიფობა ატყვია. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა.

და აი, ზუსტად 2 საათზე სახელმოხვეჭილი „ტუ“ ბიძგით გადის წინ. უკან რჩება გამცილებელთა მომღიმარი სახეები, აეროდრომი, დათოვლილი მოსკოვი. სამაგიეროდ, მათი კეთილი სურვილები და ჩვენი კეთილშობილური მისიის ღირსეულად აღსრულების დავალება გამოგვყვა თან.

დღეს 4 აპრილია. თვითმფრინავი მზის „მხარდამხარ“ მოძრაობს და მასთან ერთად ესტუმრება ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღას. ამ გზას 3 საათამდე მოვუნდით.

სტუმართმოყვრულად გვხვდება მოძმე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი. მეგობრული ღიმილი, მისალმებანი, გამარჯვების სურვილები... აქვე, აეროდრომზე ვხვდებით რუმინელ სპორტსმენებს — ველოსიპედისტებს. ისინიც დაახლოებით „ჩვენს დღეში“ არიან — სამშობლოს სპორტული სახელი უნდა დაიცვან გერმანიის მიწა-წყალზე, სადაც მალე სხვადასხვა ქვეყნის ველოსიპედისტთა მშვიდობის ველორბოლა დაიწყება. ამიტომ ჩვენი საუბარიც საერთო, ნაცნობი და ახლობელია: „რას ვიზამთ ჩვენ იქ?!“ ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარეს ერთმანეთის გამარჯვების გულწრფელი სურვილი აქვს — რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ერთმანეთის მეტოქეები არა ვართ. რუმინელ მეგობრებს ზოგიერთი ჩვენგანის სახის ფერი და ულვაშები აკვირვებს: „რუსებო ასეთებიც ხართ?“ „არა, ჩვენ ქართველები ვართ—რუსების ერთ-ერთი თხუთმეტთაგანი ძმა“. „ო!.. იღიმებიან რუმინელები, — ვიცით, ვიცით, საქართველო და ქართველი ხალხი“.

პრაღიდან საფრანგეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავით მივფრინავთ პარიზისაკენ. საფრანგეთის დედაქალაქში მხოლოდ ვახშმობის დროღა გვრჩება — ღამის 12 საათზე ტრანსატლანტიკური საჰაერო ხომალდი ამერიკისაკენ აიღებს გეზს. საგულისხმო მგზავრობაა: მოსკოვში ვისაუზმეთ, პრაღაში ვისადილეთ, პარიზში ვივახშმეთ, ხოლო მომავალ საუზმე ნიუ-იორკში გველის!

გეოგრაფიულმა „უკუღმართობებმა“ ცოტა არ იყოს ანგარიში აგვირიეს: ვიცოდით, რომ გზას პარიზიდან ნიუ-იორკამდე 13 საათამდე მოვუნდებოდით. მაშასადამე, რამდენიმე საათში გათენებას უნდა ველოდოთ, ატლანტიკის ოკეანის მზის სხივებზე ლივლივს ვუცქიროთ, ხოლო თვითმფრინავიდან „გადმოსაბარგეზლად“ დაახლოებით შუადღისათვის გვქონდეს ვარაუდი. ნურას უკაცრავად! რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო გვიანი ღამე ხდება. უკუნი ეფინება ოკეანეს და მის მკვიდრთაც, ალბათ ჯერ აინუნშიც არ მოსდით „ნებიერი ძილისაგან“ გამოფხიზლება. ბოლოს, მოგზაურობის დასასრულამდე ერთი-ორი საათით ადრე, როგორც იქნა გათენდა და კანადის ჯერ თოვლით დაფარული ჩრდილო-აღმოსავლეთის, შემდეგ კი მზის სხივებით განათებული, მწვანეში ჩაფლული სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებიც გამოჩნდა.

ნიუ-იორკის აეროპორტი. მრავალ დამხვდურთა მომღიმარი სახეები. მათ შორის უმრავლესობა ე. წ. „ატლეტური კავშირის“ წარმომადგენლები არიან. რასაკვირველია, საქმე გაზეთის კორესპონდენტთა ჩარევას ვერ გადარჩება. ყვავილებისა და მასპინძელთა მომღიმარე სახეების ფონზე ელავს მათი აპარატები. დამხვდურთა შორის ნაცნობი სახეა — 1948 წლის ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჰიდაობაში ჯორჯ ვიტენბერგი. ის გვიახლოვდება, მეგობრულად, მაგრად გვართმევს ხელს და თავისი მანქანისაკენ გვეპატიჟება. მივქრიალართ ჩვენთვის განკუთვნილ სასტუმროსაკენ. ქუჩების უმეტესობაზე ცალმხრივი მოძრაობაა, ფართო ქუჩებზე კი, რომლებიც შუაზეა გაყოფილი, ტრანსპორტი ორივე მხრივ მოძრაობს. აი, სასტუმროც — „ოტელ სილვერი“. მოვეწყვეთ, დავისვენეთ, ვისაუზმეთ. დღეს 5 რიცხვია. პირველი შეხვედრა 11 აპრილსაა დანიშნული ოკლაჰომას შტატში. მაშასადამე, დრო ბევრი გვაქვს ამერიკის უდიდესი ქალაქის გასაცნობად. მაგრამ, უპირველესად ყოვლისა — ვარჯიში, შემდეგ კი ნიუ-იორკის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. საწვრთნელ დარბაზში საკმაოდ ბევრი „მეთვალყურეა“ — ესენი თავისუფალი ჰიდაობის ამერიკელი სპეციალისტები არიან — ჩვენს „დასაზვერად“ მოსული ძველი და გამოცდილი ოსტატები. ასეთი სურათი ყოველ ჩვენს შემდგომ ვარჯიშზეც მეორდებოდა. ამიტომ, რასაკვირველია, ვარჯიშთან ერთად იმაზეც უნდა გვეფიქრა, რომ მასპინძელთა ამ „ტაქტიკურ-სტრატეგიულ“ ეშმაკობაზე ასეთივე კონტრღონისძიებით გვეპასუხა: მთელი ძალით არ ჩაგვეტარებინა საწვრთნელი ბრძოლები და ტაქტიკურ-ტექნიკური მარაგიც ძუნწად გამოგვეყენებინა.

ვარჯიშისა და დასვენების შემდეგ კვლავ ჟურნალისტთა „განკარგულებაში“ გადავედით. მოგვიწყვეს პრეს-კონფერენცია. ჟურნალ-გაზეთების მრავალრიცხოვანი კორესპონდენტები, ცხადია, მრავალრიცხოვანივე შეკითხვებით გაგვიმასპინძლდნენ — აინტერესებდათ ყველაფერი: ჩვენი პროგნოზებიც, ვინაობაც, სადაურობაც, სპორტული მიღწევებიც, საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობაც. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი მე რაღაც განსაკუთრებული გაოცებით მთვალიერებდა, ეტყობოდა რაღაცაში ეეჭვობდა. ამას მალე მისი შეკითხვაც მოჰყვა: „რა საქმიანობას ეწევა თავის ქვეყანაში ბ-ნი ბალავაძე?“ პასუხი: „დავამთავრე თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი“. მხოლოდ მეორე დღეს გაირკვა კორესპონდენტის გაოცებისა და დაეჭვების მიზეზი, როცა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ფურცლებზე მისი სტატია გამოქვეყნდა. „ბალავაძე ისტორიაზე მუშაობს უნივერსიტეტში, — მსჯელობდა სტატიის ავტორი, — და ამავე დროს საუკეთესო მოჭიდავედ ითვლება. მაგრამ, ძნელია მისი მოჭიდავედ მიჩნევა. პროფესორი? ადვილი შესაძლებელია! მაგრამ მოჭიდავე? არაკითარ შემთხვევაში!“ ბატონი კორესპონდენტი გარეგნობას შეუყვანია შეცდომაში: როგორ, ქვესაშუალო წონის მოჭიდავე და ასეთი? მოჭიდავე და დაუკუნთავი? ძალიან გთხოვთ, ტრაბახში არ ჩამომართვათ, და რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც გაცნობებთ, რასაც გაზეთი შემდეგში წერდა კერძოდ ჩემს შესახებ: „მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ყველაზე სახიფათო და შემტევი დგომშია და ისე ისვრის მოწინააღმდეგეს, რომ ეს უკანასკნელი წაქცევას ვერ გადაურჩება“.

(გაგრძელება იქნება)

* * *

სურათზე: სასტუმრო „სილვერის“ ხედი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსკოლის იუბილე

ამას წინათ შედგა საიუბილეო საღამო მიძღვნილი სოხუმის სპორტული სკოლის მე-20 წლისთავისადმი. საზეიმოდ მორთულ დარბაზში თავი მოიყარეს აქ აღზრდილმა სპორტსმენებმა, მასწავლებლებმა, მწვრთნელებმა და სპორტის მოყვარულებმა.

მოხსენებით გამოვიდა სპორტსკოლის დირექტორი ა. ჩაჩავა, რომელმაც ილაპარაკა სოხუმის სპორტული კლუბის კედლებში გაწეული მუშაობისა და მიღებული შედეგების შესახებ. მან ჩამოთვალა ის სპორტსმენები, რომლებიც აქ აღზარდნენ და მიაღწიეს მაღალ შედეგებს, ილაპარაკა სკოლის პერსპექტივებზე.

შ. ჩხეტია

სურათზე: სპორტსკოლის აღზრდილი ო. ტკაჩენკო ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო **ვ. სემიონოვისა.**

ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩები (ყველა ჯგუფისათვის), რომლებიც დანიშნული იყო 4 მაისს, ჩატარდება 3 მაისს.

მ. ტოგონიძე—საქართველოს ჩემპიონი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 1958 წლის რესპუბლიკური პირველობა თავიდანვე ისე დაიწყო, რომ ჩემპიონის სატიტო სახელი ძირითადად წყდებოდა გასული წლის ჩემპიონს ე. კაკაბაძეს, მ. ტოგონიძესა და ბათუმელ ა. ჩაიკოვსკაიას შორის. საბოლოოდ ჩემპიონობის ბედი გადაწყდა მაშინ, როცა კაკაბაძემ და ტოგონიძემ მოუგეს ჩაიკოვსკაიას, ხოლო შემდეგ ტოგონიძემ გაიმარჯვა კაკაბაძესთან.

რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა მანან, ტოგონიძემ. ეს ნიჭიერი მოჭადრაკის უდაოდ დიდი და დამსახურებული წარმატებაა. ცოტათი ადრე მან მოიპოვა აგრეთვე თბილისის 1958 წლის ჩემპიონის საპატიო სახელიც. ასეთი მიღწევები დროის მოკლე მონაკვეთში მეტყველებს იმაზე, რომ მ. ტოგონიძის შემოქმედება აღმავლობის გზაზე იმყოფება.

რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა ე. კაკაბაძემ ვერ გამოავლინა მთლიანად თავისი შესაძლებლობანი. მხოლოდ ცალკეულ პარტიებში ვიხილეთ მისი თამაშის ნამდვილი ძალა. შესამჩნევი იყო, რომ კაკაბაძე ნერვიულობდა, გადაპარბებული დაძაბულობით თამაშობდა, რამაც უდაოდ უარყოფითად იმოქმედა მის შედეგებზე.

საერთო მოწონება დაიმსახურა ჩაიკოვსკაიას თამაშმა. მან შესანიშნავად ითამაშა ტურნირი სტარტზე, მაგრამ იქ, სადაც უნდა გამოეჩინა ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე, მოეშვა და წაგო პარტიები. ასე მოუვიდა მას ტოგონიძესთან, კაკაბაძესთან და დასკვნით ტურში — გ. ბუცხრიკიძესთან. ბათუმელი მოჭადრაკის დადებითი მხარეა დებიუტის კარგი ცოდნა, სწრაფვა აქტიური თამაშისაკენ, ჩაიკოვსკაიამ ისევე, როგორც ტოგონიძემ, მოიპოვა საბჭოთა კავშირის XX ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება.

წარმატებას მიაღწია საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა ქ. გოგიავამ. მართალია, ახალგაზრდობა მას აღარ უშვებს ჩემპიონის „კვერთხისაკენ“, მაგრამ არც იგი უთმობს მათ ქულებს დაძაბული ბრძოლების გადაუტანლად.



მ. ტოგონიძე

◆

ქების ღირსია ქუთაისელი გ. ბუცხრიკიძის თამაში. ნიჭიერ გოგონას აშკარა წინსვლა ეტყობა. მისი პარტიები გააზრებული თამაშითაა გამსჭვალული. მხოლოდ ცუდი სტარტით აიხსნება მისი შედარებით დაბალი შედეგი. მძიმე მომენტში იგი არ დაიბნა და რვა პარტიაში 7 ქულა დააგროვა. ვფიქრობთ, ახლო მომავალში გ. ბუცხრიკიძის სახით ჩვენს რესპუბლიკას შეემატება კიდევ ერთი უძლიერესი მოჭადრაკე.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მ. აბროსიმოვამ, ე. ხუბუამ (მცხეთის რაიონი) ი. კამენკოვიჩმა და ნ. ფანქველაშვილმა (ხაშური). ჩვენ არ შეუვიდგებით მათი შემოქმედების გარჩევას. ვიტყვით, მხოლოდ, რომ სამთანადო მუშაობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ თვალსაჩინო წარმატებათა მოპოვება.

თ. გიორგაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

მოგვყავს პირველობის შედეგები: მ. ტოგონიძე — 11 ქულა, ე. კაკაბაძე — 10,5 ქულა, ა. ჩაიკოვსკაია (ბათუმი) — 9,5 ქულა, ქ. გოგიავა — 8,5 ქულა, გ. ბუცხრიკიძე (ქუთაისი) და ი. კამენკოვიჩი — 8 ქულა თვითეულს. გ. აბროსიმოვა — 7,5 ქულა, ლ. ხაჭაპურიძე — 6 ქულა, ბ. ხუბუა (მცხეთის რაიონი) — 5 ქულა, ც. სამსონია — 4,5 ქულა, ნ. ფანქველაშვილი (ხაშური) — 4 ქულა, მ. ჩომახიძე, ს. ივანოვა (ბათუმი) — 3,5 ქულა თვითეულს, ა. ბერიშვილი (ონი) — 1,5 ქულა.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლენინი“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3 49 62, პ.მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგ ისა და გამომშვების — 3 01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02541